

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყეშო ზურაბ ზუცხრიკიძე

„4“ „11“ 2013 წელი

ეგზ. № 2

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური

ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში *აღ 36/00*

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ობიექტი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
ინფორმაცია დმანისის მუნიციპალიტეტის შესახებ	4
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები:	7
პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	7
❖ გარემოება 1. კაპიტალური ხარჯების აღრიცხვა	7
❖ გარემოება 2. არაფინანსური აქტივები აღრიცხვა.....	8
❖ გარემოება 3. ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა.....	10
❖ გარემოება 4. სუბსიდიების აღრიცხვა	11
❖ გარემოება 5. შენობა-ნაგებობების ღირებულების შეფასება	11
❖ გარემოება 6. ძირითადი აქტივის ღირებულების შეფასება	12
❖ გარემოება 7. ძირითადი აქტივის გასვლის ოპერაციების აღრიცხვა	13
❖ გარემოება 8. ჩამოწერილი ქონების აღრიცხვა.....	13
❖ გარემოება 9. მცირეფასიანი ხანგძლივი გამოყენების საქონლის აღრიცხვა	14
❖ გარემოება 10. სხვა ხარჯების აღრიცხვა	14
აუდიტის დასკვნა	15
ფინანსური ანგარიშგება.....	16
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ 2012 წელი	19
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	21
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	22
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	23
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	27
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	29
აუდიტის ჯგუფის წევრები.....	29

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების¹ აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

¹ ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცული იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნები რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.


ინფორმაცია დმანისის მუნიციპალიტეტის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 8 138.2 ათასი ლარი, რომლის 95.6%-ს შეადგენს შემოსავლები, 4.4% არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები 2813.8 ათასი ლარი²
- ✓ გრანტები 3311.2 ათასი ლარი
- ✓ სხვა შემოსავლები 1658.6 ათასი ლარი³

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად:



2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 7 820.5 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 51.4 % შეადგენს ხარჯები, ხოლო 48.6 % არაფინანსური აქტივების ზრდა⁴.

დმანისის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში 2012 წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები;
- ✓ წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები;
- ✓ გარე-განათების სისტემის მომსახურეობა და ექსპლოატაცია;
- ✓ ბინათმშენებლობა (სახურავების შეკეთება და ფასადების რემონტი);

² 100 % ქონების გადასახადი

³ სხვა შემოსავლების ძირითადი ნაწილი (84 %) მიღებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადახდილი მოსაკრებლიდან

⁴ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა არასწორადაა აღრიცხული. კონკრეტული შემთხვევები ასახულია აუდიტის ანგარიშში, პირობითი მოსაზრების საფუძვლების პარაგრაფში

✓ სოფლის კლუბებისა და რიტუალების დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია;

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა გავითვალისწინეთ:

✓ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლების საიმედოობა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას;

✓ ჩვენს მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები;

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ ახდენს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას ავტორიზაციის სათანადო დონეებით. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტურობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროცედურებით დმანისის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა როგორც მაღალი.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები:

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზირებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;
- ✓ გრძელვადიან აქტივებს მიკუთვნებული სამუშაოებისთვის ცვეთის კოეფიციენტის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯების აღიარება ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოიჯვანა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები შემოსავლების განსაზღვრა და სრულად აღრიცხვა.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

❖ გარემოება 1. კაპიტალური ხარჯების აღრიცხვა

2012 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში შესრულდა გზის მოხრეშვის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 167.0 ათასი ლარი შეადგინა. შესრულებული სამუშაოების სარგებლიანობის ვადა არ არის ხანგძლივი და მნიშვნელოვნად არ აუმჯობესებს აქტივს, თუმცა ინარჩუნებს გზების სარგებლიანობას. მოხრეშვის სამუშაოების ღირებულება მუნიციპალიტეტის მიერ აღიარდა, როგორც კაპიტალური ხარჯი და ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N5) შესაბამისი ღირებულებით

აღირიცხა „ძირითადი აქტივების მიღების“ მუხლში. აქტივად აღიარებულ სამუშაოებს 2012 წელს დაერიცხა ცვეთა 5.3 ათასი ლარის ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული გზის მოხრეშვის სამუშაოებით შესაძლებელია გზის საწყისი პოტენციალის შენარჩუნება, მაგრამ არ ზრდის მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადას. გამომდინარე აღნიშნულიდან მასზე გაწეული დანახარჯები არ აკმაყოფილებს კაპიტალური ხარჯად აღიარების კრიტერიუმს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით მისი აღრიცხვა უნდა მოხდეს მიმდინარე ხარჯებში.

გავლენა/შესაძლო გავლენა

- ოპერაციის არასწორად აქტივად აღიარების გამო ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში და ბალანსის დანართი ფორმა N5)⁵ შესაბამისი თანხით გაზრდილია „არაფინანსური აქტივების“ მუხლები.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N2)⁶ „მიმდინარე ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 167.0 ათასი ლარით.
- მოხრეშვის სამუშაოები არ წარმოადგენს აქტივს, შესაბამისად მასზე ცვეთის დარიცხვა არასწორია, ამ მიზეზით არასწორია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N5) წარმოდგენილი „ძირითადი აქტივების გასვლის“ მუხლი.

❖ გარემოება 2. არაფინანსური აქტივები აღრიცხვა

2012 წლის დასაწყისში დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა 24 სკოლის შენობა-ნაგებობა მასში არსებული ინვენტარით, ღირებულებით 2605.9 ათასი ლარი. წლის განმავლობაში 15 სკოლის შენობა-ნაგებობა მასში არსებული ინვენტარით ჩამოიწერა დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან. დარჩენილი 9 სკოლის შენობა-

⁵ ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება გასვლის შესახებ

⁶ ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ.

ნაგებობა მასში არსებული ინვენტარით, ღირებულებით 1459.1 ათასი ლარი, ასახულია 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული ქონება გამოიყენება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მიერ. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული შენობები მასში განთავსებულ ინვენტართან ერთად წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ⁷, თვითმმართველი ერთეულის ქონება არის მის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელსაც თვითმმართველ ერთეულს გადასცემს სახელმწიფო, ან რომელსაც თვითმმართველი ერთეული შექმნის ან შეიძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. 9 შენობა-ნაგებობისა და მასში არსებული ინვენტარის გადაცემა სახელმწიფოდან დმანისის მუნიციპალიტეტზე არ მომხდარა. აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქონების შექმნის ან შეძენის ფაქტი არ დასტურდება. გამომდინარე აღნიშნულიდან საჯარო სკოლების მფლობელობაში არსებული ქონება (შენობა-ნაგებობები და სხვა) არ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას და შესაბამისად მათი აღრიცხვა არ უნდა ხდებოდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსში.

2012 წელს 15 საჯარო სკოლის ქონება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გადასცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. დმანისის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით აღნიშნულის შედეგად გადაცემული 15 სკოლის ქონება მოიხსნა მუნიციპალიტეტის ბალანსიდან და ჩამოიწერა მათი საწყისი ღირებულებით - 1146.8 ათასი ლარით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა N5) „არაფინანსური აქტივების მუხლი“ მოიცავს 9 საჯარო სკოლის საწყის ღირებულებას -1459.1 ათას ლარს. ქონება არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებას და საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდეს აღნიშნული ქონების მოხსნა ბალანსიდან.

⁷ საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ.

გავლენა/ შესაძლო გავლენა

▪ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში) „არაფინანსური აქტივების მუხლი“ არასაწორადაა გაზრდილი 9 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ღირებულების თანხით.

❖ გარემოება 3. ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა

2009-2012 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში შესრულდა გარე განათების მოწყობის 369.4 ათასი ლარის სამუშაოები, რომელიც შესაბამისად აღიარდა აქტივად და აღირიცხა ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N5) „სხვა არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების“ მუხლში. მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ აქტივს ცვეთა არ დაარიცხა, იმ მოტივით რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 615-ში,⁸ ზუსტად არ არის განსაზღვრული მისი ცვეთის კოეფიციენტი.

ამავე ბრძანების მიხედვით იმ ძირითად აქტივებს, რომლებიც მოცემული არ არის დამტკიცებულ ერთიან ნორმებში, ცვეთა ერიცხება ერთგვაროვან ძირითად აქტივებზე არსებული ცვეთის ნორმების შესაბამისად. ამდენად მუნიციპალიტეტს ცვეთა უნდა დაერიცხა მოცემული ინსტრუქციის მიხედვით და შესაბამისი თანხებით მოეხდინა აქტივის ღირებულების შემცირება.

გავლენა /შესაძლო გავლენა

▪ მუნიციპალიტეტის ბალანსში წარმოდგენილი აქტივები არასწორია, კერძოდ ბალანსში „არაფინანსური აქტივების მუხლი“ გაზრდილია 2009-2012 წლებში დასარიცხი ცვეთის თანხით.

▪ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N5) „სხვა ძირითადი აქტივების გასვლის“ მუხლი დასარიცხი ცვეთის თანხით არასწორად არის წარმოდგენილი.

▪ დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N2) წარმოდგენილ „ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლის“ სისწორეზე.

⁸ „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

❖ **გარემოება 4. სუბსიდიების აღრიცხვა**

2012 წელს დმანისის მუნიციპალიტეტმა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები გააფორმა ინდივიდუალურ მეწარმეებთან, რომლებსაც დაფუძნებული ჰქონდათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (საბავშვო ბაღები). ამ პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური მეწარმეებისათვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 92.0 ათასი ლარი. ბალანსის დანართ ფორმა N2-ში აღნიშნული თანხა ასახულია სუბსიდიის მუხლში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, სუბსიდიის მუხლით კლასიფიცირდება ორგანიზაციებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული ტრანსფერი. გამომდინარე იქედან, რომ ინდივიდუალურ მეწარმეებს მიღებული თანხის სანაცვლოდ ევალებოდათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მათზე გაცემული თანხები არ მიეკუთვნება სუბსიდიის მუხლს და უნდა აისახოს სხვა ხარჯების მუხლში.

გავლენა/შესაძლო გავლენა

▪ ხარჯების არასწორი კლასიფიკაციის გამო ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N2) „სუბსიდიის“ და „სხვა ხარჯების“ მუხლები შესაბამისი თანხით არასწორად არის წარმოდენილი.

❖ **გარემოება 5. შენობა-ნაგებობების ღირებულების შეფასება**

2012 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, რომელიც მდებარეობს 9 აპრილის ქ. N 15-ში, აუდიტის დასკვნის საფუძველზე შეფასდა 21.2 ათას ლარად. აღნიშნული შენობის საწყისი ღირებულება შეადგენდა 4.7 ათას ლარს. ხოლო 2011 წლის ბოლოსათვის შენობის ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 2.4 ათას ლარს. კერძო აუდიტორის მიერ განხორციელებული გადაფასების შედეგად შენობის ღირებულებას დაემატა 16.4 ათასი ლარი და ფინანსურ

ანგარიშგებაში აისახა (ბალანსის დანართი ფორმა N5) „შენობა ნაგებობების მიღების“ მუხლში.

აღნიშნული ოპერაცია არასწორია, რადგან აუდიტის მიერ შეფასებულ შენობის ღირებულებას გამოაკლდა შენობის საწყისი ღირებულება, ნაცვლად ნარჩენი ღირებულებისა. შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული შენობის ღირებულება არასწორად არის წარმოდგენილი.

გავლენა/შესაძლო გავლენა

■ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების არასწორი შეფასების გამო ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა N5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი შესაბამისი თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

■ არასაცხოვრებელი შენობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და ერიცხება ცვეთა. რადგან შენობის ღირებულება არასწორად არის შეფასებული, 2012 წელს მასზე დარიცხული ცვეთის მაჩვენებელიც არასწორია. ამ მიზეზით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი ნაკლები თანხით არის წარმოდგენილი.

❖ გარემოება 6. ძირითადი აქტივის ღირებულების შეფასება

2012 წელს ა(ა)იპ-დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა დმანისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოსცა მსუბუქი ავტომანქანა ვაზ-2106. გაცემის მომენტისათვის ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 3.5 ათას ლარს. აღნიშნული ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N5) „ავტოსატრასპორტო საშუალებების ზრდის“ მუხლში აღირიცხა ავტომანქანის საწყისი ღირებულებით 3.9 ათასი ლარით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, უსასყიდლოდ მიღებული ავტოსატრასპორტო საშუალებები უნდა შეფასდეს მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით. გადაცემის დროს აქტივის ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 3.5 ათას

ლარს, ამდენად მუნიციპალიტეტის მიერ მისი შეფასება საწყისი ღირებულების საფუძველზე არასწორია.

გავლენა/შესაძლო გავლენა

▪ აქტივის ღირებულების არასწორი შეფასების გამო ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა 5) „მანქანა დანადგარები და ინვენტარის“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.

▪ ქონების ღირებულების არასწორი შეფასება გავლენას ახდენს მასზე დარიცხული ცვეთის სისწორეზე. შედეგად არასწორად არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N5 და ფორმა N2) ცვეთის ხარჯის შესაბამისი მუხლები.

❖ გარემოება 7. ძირითადი აქტივის გასვლის ოპერაციების

აღრიცხვა

2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ 14.6 ათას ლარად პრივატიზებულია ქ. დმანისში წმინდა ნინოს N 63-ში მდებარე არასაცხოვრებელი შენობა. აღნიშნული ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმა N5-ში) არასწორად არის კლასიფიცირებული, კერძოდ ასახულია უსასყიდლოდ გადაცემის მუხლში, ნაცვლად „არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვის“ მუხლისა.

გავლენა/შესაძლო გავლენა

▪ ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა N5) აღნიშნული თანხით არასწორად არის წარმოდგენილი „არასაცხოვრებელი შენობის უსასყიდლოდ გადაცემის“ და „არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვის“ მუხლები.

❖ გარემოება 8. ჩამოწერილი ქონების აღრიცხვა

2012 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში ბალანსიდან ჩამოწერილია სხვადასხვა სახის არაფინანსური აქტივები კერძოდ: ავტოსატრასპორტო საშუალება, წიგნები და სხვა ინვენტარი საერთო ღირებულებით 23.4 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში

(ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N5) ჩამოწერილი ქონება შესაბამისი თანხით ასახულია „მანქანა დანადგარები და ინვენტარის უსასყიდლოდ გადაცემის“ და „სხვა ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გადაცემის“ მუხლში.

აღნიშნული ოპერაცია თავის შინაარსით არ მიეკუთვნება უსასყიდლო გადაცემას, ამის გამო არასწორია მისი კლასიფიცირება უსასყიდლოდ გადაცემის მუხლში. ჩამოწერილი ქონება შესაბამისი თანხით უნდა აღირიცხოს (ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N5) სხვა გასვლების მუხლში.

გავლენა/შესაძლო გავლენა

■ ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N5) შესაბამისი თანხით არასწორად არის წარმოდგენილი „მანქანა დანადგარები და ინვენტარის უსასყიდლოდ გადაცემის“ და „სხვა ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გადაცემის“ მუხლები.

❖ გარემოება 9. მცირეფასიანი ხანგრძლივი გამოყენების საქონლის აღრიცხვა

2012 წელს შეძენილია 20.3 ათასი ლარის მცირეფასიანი ხანგრძლივი მოხმარების სხვადასხვა სახის საქონლი. რომელიც ხარჯებში ჩამოიწერა ექსპლოატაციაში გასვლისთანავე, ისე რომ არ მოხდა მისი ასახვა ბალანსის საცნობარო მუხლში.

გავლენა/შესაძლო გავლენა

■ გამოვლენილი გარემოება ასუსტებს მცირეფასიანი, მაგრამ გრძელვადიანი გამოყენების აქტივების მოძრაობაზე კონტროლს, ასევე გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში საცნობარო მუხლში წარმოდგენილ ინფორმაციის სისწორეზე.

❖ გარემოება 10. სხვა ხარჯების აღრიცხვა

დმანისის მუნიციპალიტეტსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის

ტრანსპორტირებით მომსახურეობის შესყიდვას. 2012 წელს ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტმა 10.3 ათასი ლარით დააფინანსა მოსახლეობის ტრანსპორტირება. აღნიშნული ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N2) კლასიფიცირებულია, როგორც საწვავის ხარჯი.

გამომდინარე იქედან, რომ მომსახურეობის ღირებულება ანაზღაურებულია ფულადი ფორმით, ოპერაციის კლასიფიცირება საწვავის ხარჯად არასწორია.

გავლენა/შესაძლო გავლენა

■ აღნიშნული გარემოების შედეგად ფინანსური ანგარიშგების დანართი (ფორმა N2), „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ არასწორადაა ასახული ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლი.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძველების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, დმანისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

ფინანსური ანგარიშგება

აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	1368395	1680676
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
მოკლევადიანი სესხები	1320		
აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	1355		
აქტივების/მომსახურების მიწოდებით			
გადახდილი დღგ	1356		
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
მოთხოვნები ბარტერით	1410		
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
გრძელვადიანი სესხები	1510		
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		

II. არაფინანსური აქტივები

სტრატეგიული მარაგები	1610		
სხვა მატერიალური მარაგები	1620	195342	242774
შენობა-ნაგებობები	2110	11571482	13469511
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	2143509	2065626
სხვა ძირითადი აქტივები	2130	1197760	1098706
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
ფასეულობები	2300		
არაწარმოებული აქტივები	2400		
ბალანსი		16476488	18557293

ვალდებულებები და კაპიტალი

I. ვალდებულებები

	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	95928	35630
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
ვალდებულებები ბარტერიით	3230		
გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
გადასახდელი დღგ	3242		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
სხვა გადასახდელები	3244		
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
გადასახდელი სტიპენდიები	3258		
სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II.კაპიტალი			
წმინდა ღირებულება	5100	16380560	18521663
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
გაუნაწილებელი მოგება	5220		
დაუფარავი ზარალი*	5230		
ბალანსი		16476488	18557293

III. საცნობარო მუხლები

საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	468976	473541
პირობითი მოთხოვნები	05		
პირობითი ვალდებულებები	06		
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		
გადაგადაცილებული დავალიანებები	09		
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10		

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ 2012 წელი

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულებები	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
2	4	5	6	7	8	9	10
1. ხარჯები	3350000	4153000	-	-	4018610	3992310	-26300
1.1 შრომის ანაზღაურება	877300	1243800	-	-	1233428	1233428	
ხელფასები	877300	1243800	-	-	1233428	1233428	
ხელფასები ფულადი ფორმით	877300	1243800	-	-	1233428	1233428	
თანამდებობრივი სარგო	660300	802100			792295	792295	
წოდებრივი სარგო							
პრემია	217000	441700			441133	441133	
დანამატი							
პონორარი							
კომპენსაცია							
ხელფასები სასაქონლო ფორმით							
1.2 საქონელი და მომსახურება	754200	1121900	-	-	1043277	1016977	-26300
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	24000	20600			8976	8976	
მივლინებები	10000	10800			7010	7010	
ოფისის ხარჯები	425200	588200			565263	538963	-26300
წარმომადგენლობითი ხარჯები	15000	56000			41266	41266	

კვების ხარჯები

სამედიცინო ხარჯები

რბილი ინვენტარის, და უნიფორმის შეძენის და პირადი ჰიგიენასთან.

4000

4000

3998

3998

დაკავშირებული ხარჯები

ტრანსპორტისა და ტექნიკისა და იარაღის

ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები.

216000

263300

242934

242934

მოვლა-შენახვის ხარჯები

სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

60000

179000

173830

173830

1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

-

-

-

-

-

-

1.4 პროცენტი

-

-

-

-

-

-

1.5 სუბსიდიები

402000

434000

414609

414609

1.6 გრანტები

1150000

1079000

-

-

1071500

1071500

1.7 სოციალური უზრუნველყოფა

166500

274300

-

-

255796

255796

1.8 სხვა ხარჯები

-

-

-

-

-

-

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტით		არასახიუჯეტო	
	წლიური გეგმით	ფაქტიურად	წლიური გეგმით	ფაქტიურად
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	153	153		
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	2	2		

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები	300000	4547000	-	-	3801911
1.1 ძირითადი აქტივები	300000	4547000	-	-	3801911
1.1.1 შენობა-ნაგებობები	300000	4416400	-	-	3678541
1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები					
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	300000	865300			749528
1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები					
1.1.1.4 ქუჩები					
1.1.1.5 გზები		2707700			2288514
1.1.1.6 ხიდები					
1.1.1.7 გვირაბები					
1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები		524000			446589
1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები		67000			39027
1.1.1.10 მილსადენები					
1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები		252400			154883
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	130600	-	-	123370
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები		55400			53423
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		75200			69947
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-

1.4.4 არაწარმოებული
არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიში ის№	დებეტი	თანხა	ანგარიში ის№	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	16380560
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1233428	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	3311160
7200	საქონელი და მომსახურება	1016977	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	504999	6000	შემოსავლები	4821638
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	504999	6300	მ.შ. გრანტები	
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდიები	414609			
7600	გრანტები	1071500			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	255796			
7800	სხვა ხარჯები				
	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	1541189		აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	46803
1300- 1400	ფინანსური აქტივები		1300- 1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	1541189	1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	46803
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	6038498		საკრედიტო ბრუნვა	8179601
	სულ ჯამი:**	6038498		სულ ჯამი:***	24560161
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	18521663		ნაშთი პერიოდის ბოლოს	

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

მიღება										
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შეყიდვით	ბარტრით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსაყიდლოდ	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	*სხვა მიღებები
მატერიალური მარაგები	195342	254795	-	24385	-	-	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები										
სხვა მატერიალური მარაგები	195342	254795	-	24385	-	-	-	-	-	-
ნედლეული და მასალები	186474	57800		24385						
დაუმთავრებელი წარმოება										
მზა პროდუქცია										
შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი										
ფულადი დოკუმენტები	8868	179911								
სათადარიგო ნაწილები		17084								
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები										
ძირითადი აქტივები	14912751	352385	-	22418	-	-	-	-	-	-
შენობა-ნაგებობები	11571482	3401437	-	16484	-	-	-	-	-	-
საცხოვრებელი შენობები	1570174	85748								
არასაცხოვრებელი შენობები	3562674	698235		16411						
საგზაო მაგისტრალები										
ქუჩები										
გზები		1898194								
ხიდები		48692								
გვირაბები										
საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები										
ელექტროგადამცემი ხაზები										
მილსადენები										
სხვა შენობა-ნაგებობები	6438634	670568		73						
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2143509	87471	-	5934	-	-	-	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებები	553806	53423		5934						
სხვა მანქანა-დანადგარები	1589703	34048								
სხვა ძირითადი აქტივები	1197760	34945	-	-	-	-	-	-	-	-
კულტივირებული აქტივები	3200									
არამატერიალური ძირითადი აქტივები	1194560	34945								

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი										
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები										
ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ძვირფასი ქვები და ლითონები										
ხელოვნების ნიმუშები										
სხვა ფასეულობები										
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მიწა										
წიაღისეული										
სხვა ბუნებრივი აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია										
სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები										
არაწარმოებული არამატერიალური აქტივები										

გ ა ს ვ ლ ა																
არაფინანსური აქტივების დასახელება	გაყიდვით	ბარტერით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსაყიდლოდ	აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასები სასაქონლო ფორმით	სუბსიდიებით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შიქმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
მატერიალური მარაგები	1755	-	31229	-	-	-	-	-		-	-	-	-	198764	-	242774
სტრატეგიული მარაგები																
სხვა მატერიალური მარაგები	1755	-	31229	-	-	-	-	-		-	-	-	-	198764	-	242774
ნედლეული და მასალები	1755		31229													235675
დაუმთავრებელი წარმოება																
მზა პროდუქცია																
შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი																
ფულადი														181680		7099

დოკუმენტები																
სათადარიგო ნაწილები														17084		
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები																
ძირითადი აქტივები	8984	-	1311196	-	-	-	-	-		-	-	-	504999	-	-	16633843
შენობა-ნაგებობები	5500	-	1168041	-	-	-	-	-		-	-	-	346351	-	-	13469511
საცხოვრებელი													16426			1639496
არასაცხოვრებელი	5500		1161430										31328			3079062
საგზაო																
ქუჩები																
გზები													198462			1699732
ხიდები													1379			47313
გვირაბები																
საკანალიზაციო და მომარაგების																
ელექტროგადამცემ																
მილსადენები																
სხვა შენობა-			6611										98756			7003908
მანქანა- და ინვენტარი	3484	0	14819	-	-	-	-	-		-	-	-	152985	-	-	2065626
სატრანსპორტო	3484		4879										132493			472307
2.2.2 სხვა მანქანა- ინვენტარი			9940										20492			1593319
სხვა ძირითადი	0	0	128336	-	-	-	-	-		-	-	-	5663	-	-	1098706
კულტივირებული																3200
არამატერიალური ძირითადი			128336										5663			1095506
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი																
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი																
4. ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-	-	-	-	-
ძვირფასი ქვები და																
ხელოვნების																
სხვა ფასეულობები																

5.არაწარმოებულ აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-	-	-	-	-
მიწა																
წიაღისეული																
სხვა ბუნებრივი	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-	-	-	-	-
რადიოსიხშირული სარგებლობის																
სხვა დანარჩენი ბუნებრივი																
არაწარმოებული არამატერიალური																

[illegible]

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები

უფროსი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ირმა ხეცურიანი

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013.

აუდიტორ-ასისტენტი:

ქრისტინე ეკალაძე

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013


აუდიტორ-ასისტენტი:

თამთა გელაშვილი

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

თეა არველაძე

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ბარამ ონიანი

ხელმოწერა  თარიღი 4.11.2013.